ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრის, ბესიკ ხამაშურიძის 2022 წლის ანგარიშის

ოქმი

ანგარიშის მოსმენის დრო

7 დეკემბერი 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3

ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ანგარიშის წარდგენას ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ი.შენგელია, საკრებულოს წევრები; მ.სიმონიძე, მ.ჩიხლაძე, მ.კოსტავა, ა.კოპალეიშვილი, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.რიჟამაძე, მ.ნიჟარაძე, ქ.ქუთაისის ადგილობრივი მოსახლეობა და მედიის წარმომადგენლები.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრმა, ბესიკ ხამაშურიძემ დამსწრეებს წარუდგინა 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ **ა ნ გ ა რ ი შ ი.**

2021 წლის დეკემბრიდან დღემდე, ვარ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრი. ასევე ვარ საკრებულოს „განათლების კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის კომისიისა“ და „ეკონომიკის ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის“ წევრი.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას საკრებულოს სხდომებში. დავესწარი საკრებულოს 17 სხდომას (12 რიგითი, 5 რიგგარეშე). ჩართული ვიყავი კომისიურ ფორმატში საკითხების განხილვაში. ჩემს კოლეგებთან ერთად განვიხილავდით ყველა იმ პროექტს და ინიციატივას რომელიც ქალაქის და ჩვენი თანაქალაქელების ინტერესებს ემსახურება.

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე ჩართული ვარ ქალაქის სპორტული ცხოვრების განვითარებაში. მიმდინარე წელს ქუთაისელმა სპორტსმენებმა არა ერთი წარმატება მოიპოვეს, რაშიც ვთვლი, რომ დიდი დამსახურება ადგილობრივი ხელისუფლების და იმ მიდგომების, რომელსაც თვითმმართველობა სპორტული ცხოვრების გაუმჯობესების კუთხით აწარმოებს.

ქალაქის მასშტაბით რეაბილიტაცია ჩუტარდა რამდენიმე მინი სტადიონს და მოეწყო სატრენჟორო სივრცე, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მთავარი საწინდარია.

ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის მიზნით 2022 წლის 26 ივლის მონაწილეობა მივიღე პროექტ "ახალგაზრდა ელჩებთან" გამართულ შეხვედრაძე, სადაც ახალგაზრდების დაინტერესების სფეროს წარმოადგენდა სპორტი და სპორტული კარიერის განვი თარების ეტაპები. ჩემთვის როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრისთვის და ქუთაისის მოქალაქისთვის საინტერესო აღმოჩნდა ახალგაზრდების დამოკიდებულება სპორტისა და სპორტსმენების მიმართ.ვისაუბრეთ როგორც ცხოვრების ჯანსაღ წესზე, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე.

როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი თავს ვალდებულად ვთვლი ხშირი კონტაქტი მქონდეს მოსახლეობასთან და იმ პრობლემებთან, რომელიც დღეს ჩვენს მოქალაქეებს აწუხებს. მსგავს ფორმატში მუშაობა საშუალებას მაძლევს გადაწყვეტილების მიღებისას გავითვალისწინო მოსახლეობის უმრავლესობის აზრი.

საკრებულოს წევრებმა დადებითად შეაფასეს საკრებულოს წევრის, ბესიკ ხამაშურიძის მიერ 2022 წელში გაწეული სამუშაო.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი, ბ.ხამაშურიძე